ოქმი:**ო37. 3723156001**

თარიღი:**05/06/2023**

ოქმი #11

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს მორიგი სხდომის

2023 წელი 31 მაისი

ქ. ოზურგეთი

16.00-17.00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია - საკრებულოს თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს წევრები: ლ. ბიგვავა, ნ. ჭანიშვილი, ტ. აროშიძე, ბ. თოიძე, გ. ჩავლეშვილი, დ. ჭაკნელიძე, პ. კიღურაძე, ქ. ხომერიკი, მ. ჩხიკვიშვილი, ალ. ბურჭულაძე, დ. მჟავანაძე.

სხდომის თავმჯდომარე დ. დარჩია მიესალმა ბიუროს წევრებსა და დამსწრე პირებს, მათ მიაწოდა კვორუმზე ინფორმაცია, 12 წევრიდან სხდომას ესწრება 12 წევრი, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. შემდეგ ბიუროს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ოზურგეთში ვიქტორ დოლიძის ქუჩა N8-ში მდებარე უძრავი ქონების (ს.კ. 26.26.46.033 - ს.კ.26.26.46.033.01.001; ს.კ. 26.26.46.033.01.002; ს.კ.26.26.46.033.01.502; ს.კ.26.26.46.033.01.503 და ს.კ.26.26.46.033.01.504;) სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

2. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ოზურგეთში ვიქტორ დოლიძის ქუჩაზე (ს/კ 26.26.46.132) მდებარე უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

3. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოციალური მიზნის მქონე პროექტების თანადაფინანსების პროგრამის განხორციელების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 7 სექტემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ქეთევან ხომერიკი

4. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ქუჩისათვის ,,შოთა გოგუაძის“ სახელის მინიჭების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 ნოემბრის №59 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

5. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე უსახელო ქუჩისათვის ,,მცხეთის ქუჩის“ სახელის მინიჭების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ბექა თოიძე

6. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2023-2025 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 08 თებერვლის N10 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ნინო ჭანიშვილი

7. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2022 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ცნობად მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ნინო ჭანიშვილი

8. ინფორმაცია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ ადგილობრივი მნიშვნელობის სასმელი წყლის რესურსების მართვის გაუმჯობესების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ცნობად მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

9. ინფორმაცია ქალაქ ოზურგეთის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ცნობად მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ბ. თოიძე

10. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლ. ბიგვავა

11. სხვადასხვა საკითხები (მიმართვები, განცხადებები ა.შ).

გადაწყვიტეს:

ბიუროს დღის წესრიგში წარმოდგენილი N1,2,3,4,5,6,10 საკითხები შეტანილ იქნას საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში განხილვა- დამტკიცების, ხოლო

N,7,8,9-საკითხები განხილვისა და ცნობად მიღების მიზნით.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი